



ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ 2015 წელს შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების  
პრეზენტაცია

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ შეიქმნა 2011 წლის 01 ივნისს.

ფაქტიური მისამართია: ყაზბეგის ქუჩა #2



სამსახურის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი  
პროგრამით გათვალისწინებული სუბსიდია.

- ▶ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:
  - ადგილობრივი ქონების მოვლა-პატრონობა.
  - საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის აღსრულება.
  - ქონების მოვლა-პატრონობის წესების აღსრულება; ადგილობრივი ქონების ობიექტების პერსპექტიული გავითარება (უკეთ დატვირთვა, რაოდენობრივი ხარისხობრივი ზრდა, დატვირთვის არეალის გაფართოება და სხვა)
  - 2015წლის დასაწყისისთვის ა(ა)იპ “უზრუნველყოფა”-ს ბიუჯეტი(პროგრამა) შეადგენდა 945 902 ლარს, ხოლო ივლისის თვისთვის აღნიშნული პროგრამის დაფინანსება გაიზარდა და შეადგინა 2 145 378 ლარი.
  
- ▶ ა(ა)იპ “უზრუნველყოფა”-ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 240 ადამიანს.
- ▶ ა(ა)იპ“უზრუნველყოფა” სამუშაოების შეუფერხებლად შესრულებისათვის აქტიურად აწარმოებს სხვადასხვა სახის საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურებების შესყიდვებს, მათ შორის როგორც გამარტივებული, ასევე გამარტივებული ელექტრონული ტენდერების საშუალებით. რისთვისაც ა(ა)იპ “უზრუნველყოფა”-ს მთლიანი ბიუჯეტიდან შესყიდვებზე გამოყოფილია 825 000 ლარი.

სტრუქტურულად სამსახურის დირექტორს ექვემდებარება ოთხი მოადგილე, რომლებიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულნი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფ ი სამსახურების გამართულ ფუნქციონირებაზე.

წარმოგიდგინთ ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“-ს მიერ შვიდი თვის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას მასში შემავალი სტრუქტურების მიხედვით:





დირექტორის პირველი  
მოადგილე  
საფინანსო -საბიუჯეტო  
საკითხებში

დირექტორის მოადგილე  
ტრანსპორტის  
„კეთილმოწყობისა და დაცვის  
საკითხებში

დირექტორის მოადგილე  
მწვანე საფარის მოვლა-  
პატრონობის კუთხით

დირექტორის მოადგილის  
მოვალეობის  
შემსრულებელი გარე  
განათების საკითხებში



## წარმოგიდგენთ ჩვენი სამსახურის მიერ ტენდერის საშუალებით შეძენილ სხვადასხვა ტიპის საშუალებებს:

### ტენდერებით შეძენილი საშუალებები

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენა კერძოდ : ამწე კალათი 48 000 ლარი.
- ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის,სათადარიგო ნაწილების შესყიდვა 6 200 ლარი.
- სათბურის მოწყობის სამუშაოები 16 929 ლარი.
- სარწყავი შლანგების შესყიდვა 3 730 ლარი.
- დახერხილი ხის მასალა 3 199 ლარი.
- საბურავების შეძენა 7 722 ლარი.
- საწვავი დიზელი,ბენზინი 48 124 ლარი.
- ბუნებრივი აირის შეძენა 29 132 ლარი.
- ყვავილების შეძენა 18 305 ლარი.
- ნერგები შეძენა 7000 ლარი.
- გარე განათების მოწყობისთვის საშუალებების შეძენა 168 710 ლარი. (გამარტივებული შესყიდვით 8717 ლარი)
- ბენზოხერხები , ბენზოცელები და სათიბი მანქანების შეძენა 5450 ლარი
- გენერატორის (ტრანსფორმატორი) შეძენა 1100 ლარი
- სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების (თოხი, ბარი, ფიწალი) შეძენა 8464 ლარი
- სარწყავი აღჭურვილობის(ვენტილი, ონკანი, მუფტა, სარქველები) შეძენა 3564 (გამართივებულით 4990)
- სპეც ტანსაცმლის და უნიფორმის შეძენა 6852 ლარი
- მრავალწლიანი ხე-მცენარეების და ნარგავების შეძენა 179 728 ლარი (4936 მიმდინარე ტენდერით)

## გურამ ლოსეურაშვილი

## დირექტორის მოადგილე

საკურატორო მიმართულებით გაწეული საქმიანობა და ძირითადი საკითხები:

---

კულტურის და დასვენების პარკი:

ჩატარებული სამუშაოები;

- ტბის მარჯვენა სანაპიროზე ახალი ნარგავებისთვის ჩვენი ძალებით გაყვანილი იქნა 650 გ/მეტრი სარწყავი სისტემა, რომელიც საჭიროების მიხედვით წყალს ტბიდან მიიღებს ელექტრო სატუმბის საშუალებით.
- იგეგმება არსებული სარწყავ სისტემაში დამატებითი სატუმბი ნასოსის მონტაჟი, სარწყავი წყლის წნევისა და რაოდენობის გაძლიერების მიზნით. აგრეთვე დამატებითი ტუმბო შეასრულებს სარეზერვო ფუნქციას.
- ასევე პარკის თანამშრომლების მოხმარებისთვის გაყვანილი იქნა 105 გ/მეტრი სასმელი წყლის მილგაყვანილობა.

- მუშა მდგომარეობაში იქნა მოყვანილი სასმელი წყლის შადრევნები (ჩაუტარდა აღდგენა/შეკეთების სამუშაოები)



- სპეცტექნიკით მოსწორებული იქნა ტბის მარჯვენა სანაპიროზე არსებული მიწაყრილები და ასევე ე.წ. „პლიაჟისათვის“ ტბის მარცხენა სანაპიროს გარკვეული მონაკვეთები.
- სასუქის სახით შეტანილი იქნა 30 მანქანა 120 მ<sup>3</sup> ტყის მიწა , 2 მანქანა დამწვარი ნაკელი და კულტივაცია ჩაუტარდა ახალი ნარგავებისა და ყვავილნარებისათვის გათვალისწინებულ მონაკვეთებს.

- პარკში მიმდინარე ყოველდღიური გეგმიური სამუშაოები ითვალისწინებს ხე-მცენარეების გასხლვას, გადაბეღვას, სარწყავი „ორმოების“ მოწყობას, საყვავილეების დამუშავებას, ბალახის თიბვას ტერიტორიის დასუფთავებას, მორწყვას გარე განათების მოწყობილობების , სასმელი წყლის სისტემისა და შადრევნების და ა.შ. მუშა მდგომარეობის უზრუნველყოფას.



ტექნიკური შემოწმება ჩაუტარდა და მუშა მდგომარეობაში იქნა მოყვანილი ფანტანები ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და კოსტავას გამზირზე(#15 საცხ.სახლის მიმდებარედ) კაპიტალური აღდგენა-განახლების სამუშაოები ჩაუტარდა გონაშვილის სკვერში მდებარე ფანტანს(შეიცვალა განათების სისტემა და ტუმბო ძრავები)

- შეკეთდა პარკის ტერიტორიის შემომზღუდავი მესერი -- 34 მ/2

- პარკის მთელ ტერიტორიაზე გაითიბა ბალახი და მოჭრილი და დამუშავებული იქნა 20-ზე მეტი ხანდაზმული და ავარიული ვერხვის ხე. მონაჭერი შეშის სახით სახლში მიტანით დაურიგდა მოქალაქეებს სოციალურად დაუცველთა კატეგორიიდან, მერიიდან გადმოცემული განცხადებების საფუძველზე
- ტბაში წყლის სასურველ მდგომარეობამდე შევსების მიზნით რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მტკვრიდან შემომავალი მილსადენს რამაც საშუალება მოგვცა საჭიროებისდა მიხედვით ტბაში შევინარჩუნოთ წყლის საჭირო რაოდენობა.
- ყოველდღე სალამოს საათებში (ამინდის მიხედვით) ირთვება და გამართულად მუშაობს ექვსივე ფანტანი, განახლებულ იქნა წყლის მილგაყვანილობა, გასუფთავდა და წყლით შეივსო ძველი აუზი კ/თეატრის შენობის მიმდებარედ.






- კულტურის და დასვენების პარკში მოქმედებს სამაშველო სამსახური, გვყავს კვალიფიციური მედიცინის მუშაკი (ექთანი), აღნიშნული სამსახური ზრუნავს პარკში დამსვენებელთა უსაფრთხოებაზე. ისინი აღჭურვილნი არიან იმ ინვენტარით და ტექნიკური მოწყობილობებით რომლებიც ხელს უწყობს მათ ხარისხიან მუშაობას.

კერძოდ:

მიუხედავად ჩატარებული აღდგენითი სამუშაოებისა ვერ მოხერხდა ყოფილი სამაშველო სამსახურიდან გადმოცემული კატერის რეაბილიტაცია ამიტომ შეძენილი იქნა ახალი კატერი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს სპც.სტანდარტებს სამაშველო სამსახურში მის გამოსაყენებლად.



სამსახურს გააჩნია სათვალთავლო ჯიხური, უნიფორმა (ჟილეტები, ბოტები, ფანარი)ყველა თანამშრომელზე შესაბამისი პროფილით, ველოსიპედები სამოქმედო ტერიტორიის დასათვალთავლებლად, სამაშველო რგოლები, ბინოკლი, აკვალანგი და პირველადი დახმარების მედიკამენტები.



- დაცვის და სამაშველო სამსახური დაკომლექტებულია კვალიფიციური კადრებით, მათ სამსახურის დაწყებისთანავე უტარდებათ ინსრუტაჟი, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მუშაობის დაწყება.

- ქალაქის პარკებსა და სკვერებში განთავსებული საბალე სკამებისა და ნაგვის ურნების აღდგენა- განახლების სამუშაოების მიზნით მიმდინარე წლის მარტის თვეში შესწავლილი იქნა აღნიშნულის ფაქტიური მდგომარეობა.



- ქალაქის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, პარკებსა და სკვერებში განთავსებული საბალე-დასასვენებელი სკამებისა და სანაგვე ურნების მდგომარეობის კომისიური შესწავლის შედეგად აღდგენა-განახლებას საჭიროებდა 347 სკამი და 245 ურნა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 137 სკამს და 136 სანაგვე ურნას დანარჩენი 117 ცალი სკამის ხის კონსტრუქციის აღდგენა-განახლებისათვის საჭირო სალარტყე მასალის შესყიდვისთვის ჩატარდა სათანადო პროცედურები და აღნიშნული სამუშაოები დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.



- გარკვეული სამუშაოები იქნა ჩატარებული საცხოვრებელი სახლების სარდაფებიდან წყლის ამოტუმბვის მიზნით, რიგ შემთხვევაში გაწეული სამუშაოების შედეგად მოზინადრეები კმაყოფილნი არიან (ფალიაშვილის ქუჩა #3/ზ, თბილისის ქუჩა #28, რუსთაველის #44, მიაკოვსკის #46) და ა.შ. ხოლო სარდაფებში სადაც დაზიანებულია წყლის ან კანალიზაციის მილგაყვანილობა მოზინადრეებს განემარტათ მიზეზი და ის თუ ვის ან სად უნდა მიმართონ.
- ლითონის კვადრატისაგან დამზადებულ იქნა და დაუყენდა ცხაურები ცენტრალურ მოედანზე არსებული ფანტანის სამართავი აპარატურის ნაგებობის სარდაფის ფანჯრებს.(4 ფანჯარა)  
XIX მ/რ-ში არსებული მინი სტადიონზე შეკეთდა არსებული მესერი - 32 მ/2

- რამდენჯერმე ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები თოდრიის ქუჩის პირველი ჩიხის #4 საცხოვრებელი სახლის ეზოში, 2008 წლის ომში დაღუპული ახალგაზრდის გიორგი კიკაძის ხსოვნის მემორიალურ სკვერს.



- მიმდინარეობს და ნაწილობრივ გაკეთდა თბილისის ქუჩის შუა ზოლში მიწის სამუშაოები - შემოტანა და მექანიზმით გაშლა, რელიეფის მოსწორების მიზნით.
- ახლად შექმნილი ტექნიკური ჯგუფის მიერ აღდგენილ იქნა მეგობრობის მოედანზე „გმირთა მემორიალის“ დაზიანებული მონაკვეთები, ასევე მიმდინარეობს და ნაწილობრივ შესრულდა მეგობრობის გამზირის ორივე მხარეს გაზონების და მცირე არქიტექტურული ფორმების დაზიანებული ნაწილების აღდგენის სამუშაოები, მათ შორის რეაბილიტაცია ჩაუტარდა რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკს, მეგობრობის გამზირზე არსებულ კლუმბებსა და გაზონების შემომზღუდავ ბეტონის ბორდიურებს, შეიღება და კეთილმოეწყო ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე არსებული ლითონის მესრები.
- დაწყებულია ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ნაგვის ურნების განსათავსებლად სპეციალური „ჯიბები“-ს მოწყობა.



- მწლის ივლისის თვეში შეიქმნა და გარკვეულ სამუშაოებს ასრულებს სანიაღვრე ქსელების სამსახური. მიმდინარეობს სანიაღვრე ჯებირის და მილგაყვანილობის გაწმენდისა და ცალკეულ შემთხვევაში მისი აღდგენის სამუშაოები.

- ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე (მეგობრობის გამზირი, შარტავას ქუჩა) აღდგენილი და შეღებილი იქნა გამყოფი ზოლის ზღუდეები (სხმულები)



- ❖ ქალაქში არსებული სანიაღვრე ქსელების მოვლა - პატრონობისთვის და მოწყობისთვის ასევე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროულად და უკეთ ჩატარებისთვის სამსახურს ესაჭიროება ჰიდრავლიკური ჩაქუჩი, რომლის საშუალო ღირებულება შეადგენს 27800 ლარს, მისი საექსპლუატაციო მასა 330 კგ-ია, დარტყმის სიხშირე 380-900 დ/წთ, დარტყმის ენერგია 981 ჯოული, სამტვრევი წნევის დიამეტრი 75 მმ, გაბარიტული სიგრძე 1639 მმ-ია. თავსებადობა: ექსკავატორ-დამტვირთველი.





# ა(ა)იპ „უზრუნველყოფა“ - ის ავტო მეურნეობა

ავტო-მეურნეობის განყოფილების უფროსი

შალვა სომხიშვილი

სამსახურს გააჩნია 15 ერთეული სატრანსპორტო საშუალება:

სპეც.ამწე კალათი

ა/მანქანა ვაზ 2121 (ს/ნ BHP-902)

ა/მანქანა ვაზ 2121 (ს/ნ BHP-764)

სატრანსპორტო საშუალება „IVECO OTOYOL" (ს/ნ DGD-185) (2006წ)

ბორბლიანი ექსკავატორი JCB (3 CX ECO SITEMASTER) ს/ნ AB-026-B (2015წ)

ზილ-130 თვითმცლელი (ს/ნ 359 )

ზილ-130 თვითმცლელი (ს/ნ 938 )

ზილ-130 ბოილერი, წყლის საზიდი (ს/ნ 568 )

ზილ-130 ამწე-კრანი (ს/ნ 994 )

ავტომობილი ფორდ-ტრანზიტი

ამწე-ზილ 130 #EEM-994

ამწე-კალათა ზილ 130 #WHW-849

სატვირთო ავტომანქანა TGT-486

სატვირთო ავტომანქანა SOS-971

ტრაქტორი VH-400

- ❖ ყოველდღიურად ხდება ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერება და ნაკლოვანების აღმოჩენის შემთხვევაში ხდება მათი აღმოფხვრა.
- ❖ სამუშაოდ გადიან ავტო-მექანიზმები ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, გარდა ამისა ჩაუტარდათ მიმდინარე შეკეთება გაზ-53 მარკის თვითმცლელ 2(ორი) ავტომანქანას და ერთ ზილ-130 მარკის ა/მანქანას („ამწე-კალათა“)-ს, რაზედაც გაიხარჯა 744 ლარის სათადარიგო ნაწილები, ხოლო ა/მანქანა „ფორდ-ტრანზიტს“ ჩაუტარდა ტექნიკური მომსახურება რისთვისაც გაიხარჯა 700 ლარი. აღნიშნული სათადარიგო ნაწილების ხარჯვაზე კომისიის მიერ შედგენილია შესაბამისი აქტები, ა/მანქანების მარკებისა და ნომრების ჩვენებით.
- ❖ გარდა ზემოთ აღნიშნული ა/მანქანებისა სისტემატიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ბალახის სათიბ-საკრეჭი მანქანების; ბენზო-ცელებისა და ბენზო-ხერხების ე.წ. („დრუჟები“)-ს შეკეთება. ასევე ყოველდღიურად ხდება საწვავ-საცხები მასალების გაცემის აღრიცხვა, ხოლო ყოველი თვის ბოლოს ხდება მათი ჩამოწერა შესაბამის აქტების საფუძველზე;
- ❖ როგორც თქვენთვის ცნობილია ჩვენი ორგანიზაციის წერილობითი მოთხოვნისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით მიმდინარე წლის 08 ივნისის #887 ბრძანების საფუძველზე გადმოგვეცა შპს „კეთილმოწყობა“ -ის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონება:
 

ზილ-130 მარკის თვითმცლელი #359 და ზილ-130 მარკის თვითმცლელი #938;

ზილ-130 მარკის ბოილერი წყლის საზიდი #568 და ზილ-130 მარკის ამწე-კრანი #994 თხოვნების უფლებით 3 წლის ვადით.
- ❖ აღნიშნული ტექნიკას ჩვენს მიერ ჩაუტარდათ მიმდინარე შეკეთებები და შეეცვალათ დაზიანებული საბურავები.

- ❖ გადმოცემული ა/მანქანებიდან სამი ერთეული ა/მანქანა დღეისათვის გამართულია და სამუშაო მდგომარეობაშია, ხოლო მეოთხე ა/მანქანის #938 -ის მიმდინარეობს შეკეთება და დამთავრდება უახლოეს დღეებში. აღსანიშნავია, რომ გადმოცემული მანქანებიდან არცერთი არ იყო მუშა მდგომარეობაში, ხოლო მათი დიდი ნაწილის შეკეთება მოხერხდა თვითონ ჩვენი ძალებით, რამაც გარკვეული ეკონომია მოგვცა.
- ❖ მართალია გადმოცემული ა/მანქანები ამორტიზებული და მოძველებულია, მაგრამ მათი მუშაობით ჩვენს ორგანიზაციამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა და დროულად ხდება ყველა დავალებების შესრულება: კერძოდ გამწვანების ზოლებიდან, სკვერებიდან, დასვენების პარკიდან ყოველდღიურად ხდება გათიბული ბალახისა და ნარჩენების გატანა ასევე დროულად ხდება გადაბედილი ხეების ტოტების გატანა და მოსახლეობის მიერ დაწერილი განცხადებების დაკმაყოფილება შეშით უზრუნველყოფაზე; სისტემატიურად ხდება საცხოვრებელი კორპუსების ეზოებიდან წლების მანძილზე შემორჩენილი სამშენებლო ნარჩენების გატანა, რელიეფის მოსწორება და ა.შ. ასევე მიმდინარეობს ა/მანქანით ბოილერით ახალი ნარგავებისა და ყვავილების მორწყვა. ასევე დიდად გვებმარება ბოლო პერიოდში შეძენილი ტრაქტორი და ამწე-კალათი სხვადასხვა დავალებების შესრულებაში.





# გოჩა კიკაჩიშვილი

## დირექტორის მოადგილე

### ქალაქის მწვანე საფარის მოვლა - პატრონობა

❖ მის საკურატორო ზონას მოიცავს ქ.რუსთავეში არსებული მწვანე საფარის მოვლა პატრონობა კერძოდ:

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ქალაქში არსებული მწვანე საფარის მოვლა პატრონობის თაობაზე:

1. ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვა დამუშავება და ქალაქის სოციალურად დაუცველ ოჯახებზე გადაცემა.
  2. ხეების ხმელი და ზედმეტი ტოტებისაგან გასუფთავება,შეთეთრება.
  3. ქალაქის მწვანე საფარის დაბარვა,ბალახის დათესვა,მორწყვა, მოვლა-პატრონობა, გაზონებისა და ქუჩების ფომირება.
  4. დეკორატიული მცენარეების და ყვავილების დარგვა ქალაქის ცენტრალურ უბნებში,პარკებსა და სკვერებში.
  5. მომეტებული ნალექის გამო ქალაქის მაშტაბით ბალახის გათიბვა და ტერიტორიიდან გატანა.
- ❖ მოხდა განადგურებული სანერგე მეურნეობის აღდგენა,რაც მოიცავს ისეთ სამუშაოებს როგორცაა:მეურნეობის გასუფთავება,სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის აღდგენა,ახალი ნერგების გამოყვანა და არსებული ნათესების გადარგვა თავისუფალ ტერიტორიაზე,დროებით სათავსო ნაგებობის მოწყობა. ტყის მასივის დამუშავება.
- ❖ სანერგე მეურნეობაში მუშა-მსამსახურე პერსონალისათვის საჭიროა იარაღების სათავსისა და თავშესაფარი-მოსასვენებელი ოთახის მშენებლობა ფართით 30 კვ. მეტრი, ღირებულებით დაახლოებით 10 000 ლარი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩასატარებელია შემოღობვის სამუშაოები ღირებულებით დაახლოებით 8000 ლარი.
- ❖ ტყე ჭალის ტერიტორიის დაცვისა და მოვლა პატრონობის კუთხით ჩასატარებელია ასევე შემოღობვის სამუშაოები ღირებულებით დაახლოებით 14 000 ლარი.
- ❖ აღნიშნული ტერიტორიის დაცვის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული უკანონო შენობა-ნაგებობების [ფერმების] მოშლა და უკანონო ძოვების ფაქტების აღკვეთა. საჭიროა არსებულ სარწყავ არხზე არსებული უკანონოდ აგებული ხიდებისა და გადასასვლელების დემონტაჟი, რათა მოსახლეობის მიერ არ მოხდეს დაცული ტერიტორიიდან უკანონო ხე-ტყის ჭრა და ტყე-ჭალის განადგურება.


სათიბი მანქანით გაითიბა განვლილი ივლისის თვემდე - 265268 კვ/მ.

ხელის ცელით - 251382 კვ.მეტრი.

ბენზო ცელით - 252883 კვ/მ.

შეთეთრდა ხის ძირები 2150 ძირი.

მიმდინარე წელს ივლისის ჩათვლით გაითიბა: 769533 კვ/მ ფართობი საიდანაც







▶ გამწვანების კუთხით შეძენილი იქნა, მეტყვეობის და ტყეკაფვის პროდუქტები კერძოდ დასარგავი დეკორატიული მცენარეები --- 25 305 ლარი:

❑ 1 000 ცალი სალვია.

❑ 1 500 ცალი ტაგეტესი.

❑ 5 000 ბეგონია.

❑ 7 010 იმპატიენსი.

❑ 500 ტუია .

❑ 500 კიპარისი






❖ ქალაქის კლუმბებსა და ქოთნებში დაირგო 18 305(თვრამეტიათას სამასხუთი) ლარის ღირებულების 37010 ძირი ყვავილი ესენია: ბეგონია, სალვია, იმპატიენსი, ტეგეტესი.




- ❖ მაისის თვის ნახევრიდან ხდებოდა ყვავილების და გაზონების კლდიაშვილის ქუჩის მიმდებარე სკვერში ახლად დარგული პავილონიის ხის ნერგების მორწყვა.



- მრავალწლიანი ხე-მცენარეების მასივის შევსების მიზნით მარტი-აპრილის თვეებში დაირგო 1500-მდე სხვადასხვა ჯიშის ნერგი, მათ შორის 500 ძირი კიპარისი, 530 ძირი ტუია, 120 კაკალი, 50 ძირი კოპიტა და ნეკერჩხალი, 15 პალმოლია, 8 ძირი პალმა, 101 ძირი მხვიარა მცენარეები (გლიცინია, ჟასმინი) და სხვა.

- ❖ შარტავას გამზირზე, ტაშკენტის ქუჩაზე ლეონიძის სკვერში, მეგობრობის გამზირზე, ფალიაშვილის შუა ზოლში. არქივის წინ სკვერში ხდება საჭიროების მიხედვით სარწყავ სისტემაში დაზიანებული ადგილების შეკეთება.

❖ მოქალაქეებიდან ხეების მოჭრა-გადაბეღვასთან დაკავშირებით შემოვიდა 315 განცხადება, დღეისათვის დაკმაყოფილებულია 235 განცხადება დანარჩენი განცხადება არის განხილვის სტადიაში, II კვარტალში შემოს მოთხოვნაზე შემოსულია 248 განცხადება დღეისათვის დაკმაყოფილებულია 198 განცხადება.



❖ პირველი რიგისა და ეტაპის ჩასატარებელ სამუშაო აუცილებლობიდან ქალაქის მწვანე საფარის შენარჩუნებისა და მოწესრიგების მიზნით უნდა განხორციელდეს სკვერებისა და პარკების გასარწყავება ტექნიკური წყლით, სასმელი წყლით გასარწყავება, რაც დღეისათვის ხორციელდება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამასთან ტექნიკური წყალი მეტად მისაღებია გაზონების [მოლების] და ხე მცენარეებისათვის.

1. დღეის მდგომარეობით აღნიშნული სარწყავი სისტემები მოსაწყობია:

ა]. ფალიაშვილის ქუჩის მიმდებარე სკვერში;

ბ]. კლდიაშვილის ქუჩის მიმდებარე სკვერში;

გ]. მესხიშვილის ქუჩის # 5-ის მიმდებარე სკვერში;

დ]. # 7 საჯარო სკოლის მიმდებარედ ე.წ. ჩიკაგოს სკვერი;

ე]. მეგობრობის გამზირის # 15 -დან # 27 კორპუსამდე მიმდებარე სკვერი;

ვ]. მეგობრობის #1,2 კორპუსების მიმდებარე სკვერები;

ზ]. თბილისის ქუჩის შუა ზოლი;

თ]. ცურტაველის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია [დიდების ხეივანი];

ი]. კოსტავას ქუჩის # 1 და #2 კორპუსების მიმდებარედ [ყოფილი რუსთაველის ძეგლის ტერიტორია და ე.წ. პირამიდა];

კ]. კოსტავას ქუჩის შუა ზოლი [მერიის# 22 კორპუსის წინ, კაჩინსკის სახელობის სკვერამდე];

ლ]. ფიროსმანის ქუჩის მიმდებარედ [თეატრის წინ];

მ]. მშენებელთა ქუჩის მიმდებარედ [თეატრის უკან, საცურაო აუზი „თოლია“-ს მიმდებარედ და ღია მუზეუმის ტერიტორია];

ნ]. რუსთაველის ქუჩაზე სამუსიკო სასწავლებლის ტერიტორიაზე;

ო]. ასლანიკაშვილის ქუჩის მიმდებარე სკვერი;

პ]. ბათუმის ქუჩის მიმდებარე სკვერი;

ჟ]. რუსთაველის ქუჩის ე.წ. „ხიმიკები“-ს უკან მდებარე სკვერი;

რ]. კოსტავას გამზირის # 13 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია;

ს]. შესაბამისად უნდა გასარწყავდეს ქალაქის ცენტრალური ქუჩები.

2. ასევე შესაძენია სხვადასხვა დასახელების მანქანა - დანადგარები:

ა]. თვითმცლელი ავტომანქანა 2 ცალი, ერთეულის ფასი შეადგენს 20 000 ლარს;

ბ]. შესაძენია წყლის საზიდი ავტომანქანა ე.წ. „ცისტერნით“ 2 ცალი, რომელთა სავარაუდო ღირებულებაც შეადგენს 40 000 ლარს.

❖ ჩვენი ხედვით აუცილებლობას წარმოადგენს ქალაქში არსებული პარკებისა და სკვერების რელიეფის მოსწორება, რის შედეგადაც მივიღებთ კეთილმოწყობილ და ესთეტიკურ დასასვენებელ ადგილებს ქალაქში. შესაბამისად შესაძლებლობა გვექნება მოვახდინოთ ბალახის გათიბვითი სამუშაოები აღნიშნულ ტერიტორიებზე ნაკლები ძალისხმევით, მოკლე დროის მონაკვეთში ნაკლები დანახარჯებით და მეტად ეფექტურად.

❖ ჩვენს მიერ ყოველდღიურად ქალაქის ტერიტორიიდან ხდება ათეულობით კუბური მეტრი სხვადასხვა სახის ნარჩენების ნაგვის სახით გატანა. არსებული ნაგავსაყრელი, რომელიც მდებარეობს ახალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, გადავსებულია და ახალი ნარჩენის რაოდენობას ვეღარ იტევს. ჩვენს მიერ შერჩეული იქნა ტერიტორია სადაც შეიძლება განთავსდეს ახალი ნაგავსაყრელი, საჭიროა ამ საკითხის განხილვა ქალაქის ხელმძღვანელობასთან და მისი დროულად გადაწყვეტა.

# გარე განათების სამსახურის უფროსი:

## გულივერ სამუშაო


მის საკურატორო ზონას მოიცავს ქ. რუსთავის ცენტრალური ქუჩების, პარკებისა და სკვერების ტერიტორიის განათება, დაზიანებული გასანათებელი მოწყობილობების და შუქნიშნების შეკეთება და რეაბილიტაცია.

ამ მხრივ, აღდგა და სისტემატიური ყურადღება ექცევა ქალაქის ტერიტორიაზე ყველა გასანათებელ მოწყობილობებს, რომლის შესახებ ყოველდღიურ ინფორმაციის მოწოდება ხდება მერიის ცხელი ხაზის საშუალებით.

2015 წელს გარე განათების კუთხით პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტიდან

თებერვლიდან დღემდე გამოცხადდა 8 ტენდერი, აქედან არ შედგა მხოლოდ ორი, კერძოდ

1. გასანათებელი მოწყობილობები და ელ.ნათურებზე 9 თვის გამნამვლობაში ტენდერის საშუალებით ხელშეკრულებები გაფორმდა ჯამში **80 605** ლარზე
2. ელექტროძრავები, გენერატორები და ტრანსფორმატორებზე - ხელშეკრულებით **6200** ლარი
3. ელექტრო ენერჯის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურაზე ხელშეკრულების თანხამ ჯამში **27449** ლარი შეადგინა, ასევე ტენდერის საშუალებით.
4. იზოლირებული მავთული და კაბელი - (ელექტრო სადენები, დამაგრძელებელი) - სახელშეკრულებო თანხით - **7235** ლარი
5. ელექტრონული და ელექტრომექანიკურ აქსესუარებზე **47 219** ლარის ხელშეკრულება გაფორმდა.



- დამონტაჟდა ტყეპარკში არსებული შენობის ელექტროგაყვანილობა და მოხდა მისი ქსელში ჩართვა, სადაც გახარჯული იქნა ავტ.ჩამრთველი 16/ა 2ც, მრიცხველი 120 ა 1ც, როზეტი 7 ც. ჩამრთველი 7 ც, ვაზნა 7ც, სადენი სპილენძის (2X4)მმ/2-130მ, სადენი აპვ (4X16)მმ/2=800მ.

- დამონტაჟდა შარტავას გამზირზე და 22-ე სკოლაში ფასადების და სადარბაზოების მინათება დიოდური ლენტით, სადაც გაიხარჯა 850მ დიოდური ლენტა, 30 ცალი სილიკონი.
- დამონტაჟდა მწვანე ფერის დიოდური პროექტორები გაზონების განათებისათვის გონაშვილის სკვერში 54 ცალი და გონაშვილის სკვერიდან სასტუმრომდე 256 ცალი დამონტაჟდა სადენი ავეჯ (2X6)მმ/2 – 2975 მ, ლითონის ზოლოვანა (30X3) 300მ.



- დავასრულეთ გონაშვილის სკვერის და გმირთა მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები,სკვერში დამონტაჟდა გარე განათების თანამედროვე სისტემა
- მეგობრობის და შარტავას გამზირზე არსებულ 14 მაღალსართულიან კორპუსზე, ასევე იაღლუჯის მთაზე არსებულ ჯვარზე დამონტაჟდა მინათების სისტემები ეკონომიური ელ-მილაკებით.







- აღდგენილ იქნა ფასადის მინათების სისტემა კოსტავას #18, კოსტავას #19, და კოსტავას #22
- ქალაქის გარე განათების სამუშაოების შეუფერხებლად მუშაობისთვის შესაძენია ამწე კალათა, რომლის აწევის სიმაღლე იქნება არანაკლები 32 მეტრის სიმაღლისა, რომლის სავარაუდო ღირებულებაც შეადგენს 70 000 ლარს;

- ასევე შესაძენია გრუნტის საბურღი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება სანათი ბოძებისთვის ორმოების გაკეთება, მისი სავარაუდო ღირებულება საშუალო სიმძიმის ქანებისთვის განკუთვნილი 380 მმ ბურღით არის 19 500 ლარის ფარგლებში, ხოლო 230 მმ ბურღის პირით 4 900 ლარი. ჯამში 24 400 ლარი.



- ყოველდღიურად ხდება ქალაქ რუსთავში გარე განათების შევსება მოწესრიგება, რომლის დეფექტური და შესრულების აქტები შესაბამისი მისამართებით დგება ყოველი თვის დამთავრებისთანავე.
- ამ მიმართულებით მუშაობას ვაგრძელებთ და მომავალშიც აქტიურად ვიმუშავებთ, მიმდინარეობს ყველა შემოსული განცხადების შესწავლა და შესრულება ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში.

- ❖ როგორც თავში აღინიშნა ტენდერი გამოვაცხადეთ სათბურის მშენებლობაზე და გამარჯვებულმა კომპანიამ დაასრულა სამუშაოები, ხელშეკრულება გაფორმდა 16 929 ლარზე.
- ❖ სათბურის ფართობი შეადგენს 200 კვ.მ-ს, კედლების სიმაღლე მერყეობს 2,1 -დან 2,3 -მდე, ხოლო კეხის სიმაღლეა 4,3 მეტრი. კედლები და სახურავი მოეწყო ცელოფნის ფენილით. ნაგებობა მიეკუთვნება II კლასს.
- ❖ სათბურში მოხდება დეკორატიული მცენარეების გამოყვანა, რომლის შესყიდვა ხდება კერძო სასათბურე მეურნეობებიდან რომელიც ირგვება ქალაქის ცენტრალურ უბნებში განთავსებულ კლუმბებსა და ქოთნებში.
- ❖ ჩვენი სათბურის ამუშავების შემდგომ მოხდება აღნიშნული მცენარეების შესაძენად განკუთვნილი თანხების დაზოგვა, რაც მოგვცემს საშუალებას დამატებითი სამუშაოები შევასრულოთ გამწვანების კუთხით .



- რაც შეეხება ჩვენს ოფისს გვაქვს მერიიდან უზურფრუქტის წესით გადმოცემული ქონება (შენობა) რომელიც არის კეთილმოწყობილი და შექმნილია კარგი სამუშაო გარემო, მასში დაცულია უსაფრთხოების წესები და ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში აღჭურვილია ცეცხლმაქრი მოწყობილობით.
- გვაქვს ასევე შენობა რომელსაც ვიყენებთ საწყობად, აღნიშნული შენობა არის ამორტიზებული, ასევე აქვს პატარა ფართობი და მისი სიმცირის გამო გვიძნელდება ჩვენი ინვენტარის სრულფასოვნად შენახვა და დაცვა. გვსურს ახალი საწყობის (სათავსოს) მშენებლობა, რომელიც იქნება გაცილებით დიდი ფართობის და კეთილმოწყობილი, ექნება დაცვის ელექტრონული სისტემა, რაც მოგვცემს იმის საშუალებას რომ უკეთ დავიცვათ სამსახურის მატერიალური ფასეულობები.
- გვაქვს ხედვა სამომავლოდ ქალაქის ცენტრალური უბნებს შევძინოთ მეტი სილამაზე და ეფექტური იერსახე, ამ კუთხით მუშობს ჩვენი სამსახურის დიზაინერი რომელიც წარმოგვიდგენს ფოტოებს, ეს ამ ფოტოების მცირე ნაწილია მაგალითის სახით. დადებითი გამოხმაურების შემთხვევაში, ჩვენი სამსახური იზრუნებს ყველა იმ პროექტის განხორციელებაზე რომელიც სასიკეთოდ წაადგება ჩვენს ქალაქს.







